EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

დიდი პალატა

შაჰინი გერმანიის წინააღმდეგ

Sahin v. Germany

საჩივარი №30943/96

11 ოქტომბერი, 2001 წელი

ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი არის 1988 წელს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამა. მან აღიარა მამობა და ნახულობდა ბავშვს 1990 წლის ოქტომბრამდე, ვიდრე ბავშვის დედამ არ აუკრძალა მასთან ნებისმიერი სახის კონტაქტი. რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა ბავშვის მონახულების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 1711-ე მუხლზე დაყრდნობით, რომელიც იმ დროისთვის ადგენდა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მეურვე მშობელი უფლებამოსილი იყო

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

განესაზღვრა მამისთვის ბავშვის ნახვის უფლება, ხოლო სასამართლოს მამისთვის ამ უფლების მინიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ ჩათვლიდა, რომ აღნიშნული შედიოდა ბავშვის ინტერესებში. სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან მომჩივნის მოთხოვნა მოტივირებული იყო მხოლოდ ბავშვისადმი წრფელი სიყვარულით, დედის ძლიერი წინააღმდეგობის ფონზე, მამის მიერ ბავშვზე ხელმისაწვდომობა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. მომჩივანმა მიმართა საოლქო სასამართლოს, ამ უკანასკნელმა მოითხოვა ფსიქოლოგის დასკვნა იმის შესახებ, სახეზე იყო თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესი. ექსპერტმა მომჩივნის ბავშვის და დედის რამდენიმე შემთხვევაზე დაკითხვის შემდეგ დაადგინა, რომ მამის მხრიდან ბავშვზე ხელმისაწვდომობა არ შედიოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. მან ასევე მიიჩნია, რომ ბავშვისთვის, რომელიც იმ დროისთვის 5 წლის იყო, არ იყო მიზანშეწონილი სასამართლოში დაკითხულიყო.

მშობლების დაძაბულობის და იმ რისკის გათვალისწინებით, რომ მამის ვიზიტები დააბრკოლებდა ბავშვის განვითარებას, საოლქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელზე.

სასამართლოს შეფასება

მე-8 მუხლი:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში დაადგინა, რომ გერმანული სასამართლოების უარი გამოწვეული იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნა, რომ ბავშვის ნახვაზე უარის თქმა წარმოადგენდა ჩარევას, რომელსაც საფუძვლად დაედო ეროვნული კანონმდებლობა და ატარებდა ბავშვის „ჯანმრთელობის ან მორალის“ და „უფლებებისა და თავისუფლებების“ დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ჩარევის აუცილებლობასთან დაკავშირებით კი, ეროვნულმა სასამართლოებმა წარმოადგინეს შესაბამისი მიზეზები ბავშვის ნახვაზე უარის თქმასთან მიმართებით. იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს მიზეზები საფუძვლიანი, სტრასბურგის სასამართლო ვერ შეძლებდა ამის შეფასებას, იმის დადგენის გარეშე, უზრუნველყოფდა თუ არა მთლიანად გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მომჩივანის ინტერესების საუკეთესო დაცვას, რაც დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მომჩივანს მიეცა საშუალება წარმოედგინა მტკიცებულებები და მისთვის ხელმისაწვდომი იყო ყველა

სახის შესაბამისი ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობოდნენ სასამართლოები. რაიონულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა მშობლების და მოწმეთა განცხადებებს, ხოლო საოლქო სასამართლომ დამატებით მოითხოვა ექსპერტის ანგარიში. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოები ყოველთვის არ არიან ვალდებულნი დაკითხონ ბავშვი. ეს დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, ბავშვის ასაკის და მოწიფულობის გათვალისწინებით. წინამდებარე საქმეში, ბავშვი 5 წლის იყო, როდესაც საოლქო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და იმ მეთოდების, რომელიც ექსპერტმა გამოიყენა და მისი ფრთხილი მიდგომის გათვალისწინებით, ბავშვის დამოკიდებულების ანალიზისას, როდესაც დაეყრდნო ექსპერტის დასკვნებს, სასამართლო არ გაცდენია თავისუფალი შეფასების არეს. არ არსებობდა ექსპერტის პროფესიულ კომპეტენციაში ან მის მიერ განხორციელებული გამოკითხვის მეთოდში ეჭვის შეტანის საფუძველი. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მხრიდან პროცედურული მიდგომა შეესაბამებოდა არსებულ გარემოებებს და წარმოადგინა მასალა დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მე-8 მუხლის პროცედურული მოთხოვნები შესრულებულია.

დასკვნა: არ დადგინდა დარღვევა

მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში:

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები ექცევა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების ფარგლებში. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ იმ დროისთვის, გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, კერძოდ, 1634.1 მუხლი, რომელიც ეხება ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მშობლებისათვის მეურვეობის მინიჭებას და მუხლი 1711.2 – ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამების შესახებ, მოიცავდა განსხვავებულ სტანდარტებს. პირველი კატეგორიის მშობელს ჰქონდა იურიდიული უფლება ბავშვის ნახვაზე, რომლის შეზღუდვა ან შეჩერება შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში პირადი

კონტაქტი დამოკიდებული იყო ბავშვის დედაზე ან სასამართლოზე თუკი იგი გადაწყვეტდა, რომ ამ სახის კონტაქტი შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.

აუცილებელი არ არის იმის განხილვა, გერმანიის ყოფილი კანონმდებლობა აკეთებდა თუ არა გაუმართლებელ განსხვავებას; კითხვა მდგომარეობს იმაში, მოცემულ საქმეზე მისი გამოყენება იწვევდა თუ არა გაუმართლებელ განსხვავებას. აღნიშნული საქმე განსხვავდება *ელშოლზის*[1] საქმისგან, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტებზე დაყრდნობით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ განქორწინებული მამა უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინამდებარე საქმეში, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებს შეეძლოთ გაემართლებინათ ვარაუდი, რომ მამის მხრიდან ბავშვის ნახვა იქნებოდა ბავშვისთვის სასიკეთო, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სასამართლოები დარწმუნებულნი იყვნენ მომჩივნის მოტივების სიცხადეში, მას დააკისრეს ტვირთი, რომელიც იყო განქორწინებულ მამებზე დაკისრებულ ტვირთზე მძიმე. უნდა არსებობდეს ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზები იმისათვის, რომ განსხვავებულად მოეპყრან მამას, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი და მამას, რომელსაც ქორწინებიდან ჰყავს იგი, ასეთი მიზეზები კი, საქმეში არ გამოვლენილა.

დასკვნა: დარღვევა

ამონარიდები კონვენციიდან ბავშვის უფლებებზე და ადამიანის უფლებათა სხვა რელევანტური ინსტრუმენტებიდან

დ. გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებებზე

39. ბავშვთა ადამიანის უფლებები და სტანდარტები, რომლებსაც უნდა ესწრაფოდეს ყველა სახელმწიფო ბავშვებისთვის მოცემული უფლებებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრულია გაეროს კონვენციაში ბავშვის უფლებებზე. კონვენცია ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს და რატიფიცირებულია 191 ქვეყნის მათ შორის, გერმანიის მიერ.

[1]Elsholz v. Germany [დიდი პალატა], N 25735/94, § …, ECHR 2000-VIII.

40. კონვენციაში გაწერილია ადამიანის ძირითადი უფლებები – ბავშვებს ყველგან, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვთ უფლება იარსებონ, განვითარდნენ მაქსიმალურად, დაცული იყვნენ მავნე ზეგავლენისა და გამოყენებისგან, მონაწილეობა მიიღონ საოჯახო, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. კონვენცია განსაკუთრებით იცავს ბავშვთა უფლებებს სტანდარტების დაწესებით, ჯანმრთელობის დაცვისა და საგანმანათლებო მიმართულებებით, ასევე, სამართლებრივი, სამოქალაქო და სოციალური მომსახურების სფეროებში.

41. კონვენციის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა და მიიღონ ყველა ზომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (მე-3 მუხლი). მეტიც, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს არ დააშორებენ მის მშობლებს მათი ნების საწინააღმდეგოდ, თუ აღნიშნული არ გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან. კონვენციის ხელშემკვრელ ქვეყნებს ასევე, აკისრიათ ვალდებულება, პატივი სცენ ერთ-ერთი ან ორივე მშობლისგან დაშორებული ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს პირადი ურთიერთობები და რეგულარული, პირდაპირი კონტაქტი მის ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს (მე-9 მუხლი).

...

64. იმის გადასაწყვეტად, ხელმისაწვდომობაზე უარი იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში," სასამართლომ მთლიანობაში, საქმის შესაბამისად, უნდა შეაფასოს მიღებული ზომის გასამართლებლად მითითებული მიზეზები, იყო თუ არა შესაბამისი და საკმარისი კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებისთვის. ცალსახად, განსაზღვრა იმისა, თუ რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ სახის ყველა საქმეში. მეტიც, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ეროვნულ ორგანოებს აქვთ ყველა შესაბამის პირთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნული შეფასებებიდან აღსანიშნავია, რომ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს არა ეროვნულ სასამართლოთა ჩანაცვლება მეურვეობისა და ხელმისაწვდომობის საკითხების გადაწყვეტის კუთხით, მათი უფლებამოსილებების განხორციელებაში, არამედ იმის განხილვა, რამდენად შეესაბამებოდა შესაბამისი ორგანოების

გადაწყვეტილებები კონვენციის დანაწესებს *(ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ, Hokkanen v. Finland)*, Series A no. 299-A, p. 20, § 55, 1994 წლის 23 სექტემბრის განაჩენი; *კუცნერი გერმანიის წინააღმდეგ (Kutzner v. Germany)*, no. 46544/99, §§ 65-66, ECHR 2002-I; იხილეთ ასევე, კონვენცია ბავშვის უფლებებზე –პარაგრაფები 39-41).

66. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ავალდებულებს ეროვნულ ორგანოებს, დაიცვან სამართლიანი ბალანსი ბავშვისა და მშობლების ინტერესთა შორის და აღნიშნულ პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რომლებმაც მათი ბუნებისა და სერიოზულობის გათვალისწინებით, შესაძლოა გადაფარონ მშობელთა ინტერესები. კერძოდ, მშობელს ვერ ექნება მე-8 მუხლის შესაბამისად, უფლება, მიიღოს ამგვარი ზომები, რადგან ის პოტენციურად დააზიანებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას.

გაგრძელება:

წინამდებარე საქმისა და მასში არსებული განხილვისას, ბავშვის უფლებების კონვენციაზე ციტირება მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ შემდგომ საქმეში, რომელიც ეხებოდა ბიოლოგიური მამის უფლებას, წვდომა ჰქონოდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვზე – *სომერფელდი გერმანიის წინააღმდეგ (Sommerfeld v. Germany)*, #31871/96, [2003] ECHR 341.

ბავშვის უფლებების საინფორმაციო ქსელის (CRIN) კომენტარები:

CRIN მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საბოლოო შედეგი ზოგადად, შესაბამისობაში მოდის კონვენციასთან ბავშვის უფლებებზე. მისი შეფასებით, ბავშვებს აქვთ უფლება, შეინარჩუნონ პირადი კონტაქტი და პირდაპირი ურთიერთობები ორივე მშობელთან, თუ ეს ცალსახად არ ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, აღნიშნულ საქმეში ბავშვისთვის აზრი არც უკითხავთ. მეტიც, საქმეში არ ჩანს არანაირი გარემოება იმის დასადასტურებლად, რომ მამასთან ურთიერთობის გაწყვეტა უფრო საზიანო იქნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის, ვიდრე მშობლებზე ვიზიტების განხორციელების მიზნით, არაკომფორტული ინტერაქციის ვალდებულების დაკისრება. CRIN-ს ცალსახად მიაჩნია, რომ ბავშვებს უნდა მიეცეთ

საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ყველა საკითხთან მიმართებით, რაც მათ ეხებათ და კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა შესაძლებელი გახადონ ბავშვსა და მის ორივე მშობელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის არსებობა.